

იაპონიის მთავრობის სტიპენდიები უცხოელი სტუდენტებისათვის 2010-2011 აკადემიური წლისათვის

იაპონიის განათლების, კულტურის, სპორტის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამინისტრომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთაც სურთ ისწავლონ იაპონიის უნივერსიტეტებში 2010-2011 აკადემიური წლისათვის გამოუყო შემდეგი სტიპენდიები:

1. სტიპენდია მკვლევარი სტუდენტებისთვის (Research Students Program)
2. სტიპენდია უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე სასწავლებლად (Undergraduate students Program)

იაპონიის მთავრობამ ასევე გამოყო სტიპენდიები (განკუთვნილია იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც განათლება მიღებული აქვთ იაპონური ენისა და კულტურის სფეროში)

1. მასწავლებლებისათვის (Teacher Training Students)
2. იაპონისტიკის (Japanese Studies Students) სტუდენტებისათვის.

სტიპენდია მკვლევარი სტუდენტებისთვის

კვლევის საგანი შესაძლოა იყოს ნებისმიერი დარგი, რომლის სწავლება ან კვლევა მიმდინარეობს იაპონიის უნივერსიტეტებში (რამდენიმე გამონაკლისის გარდა, იხილეთ ქვემოთ მითითებული ლინკი).

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- ✿ აპლიკანტი უნდა იყოს იმ ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც დიპლომატიური ურთიერთობა აქვს იაპონიასთან;
- ✿ აპლიკანტი დაბადებული უნდა იყოს 1976 წლის 2 აპრილის შემდეგ;
- ✿ აპლიკანტს უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტის დიპლომი;
- ✿ აპლიკანტმა უნდა აირჩიოს ის ან მონათესავე სფერო, რომელშიც მას აქვს განათლება მიღებული ან გააჩნია პროფესიული გამოცდილება;
- ✿ აპლიკანტი მზად უნდა იყოს შეისწავლოს იაპონური ენა და ა.შ.

სტიპენდია მოიცავს:

- ✿ ყოველთვიურ გრანტს (დაახლოებით 152, 000 იენის ოდენობით);
- ✿ მგზავრობის ხარჯებს;
- ✿ სწავლის საფასურს

